თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე გიორგი ხეჩუაშვილი (პ/ნ 24001004615), როგორც უძრავი ქონების ნაწილის (539 კვ.მ) გამყიდველი (ხელშეკრულება ვალდებულების შემდგომი შესრულების სანაცვლოდ უძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე (გაცვლა), დამოწმების თარიღი 01/06/2021, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო) არ ვარ წინააღმდეგი (თანახმა ვარ), რომ მიწის ნაკვეთზე რომლის მისამართია ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, ს.კ. 01.72.14.035.958, რომელზეც სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს შპს ,,რადიანტი-დიდი დიღომი“ (ს/კ 404613370), მშენებლობის ვადა გაგრძელდეს 9 (ცხრა) თვით 2024 წლის 12 დეკემბრამდე.

განმცხადებელი (გიორგი ხეჩუაშვილი, პ/ნ 24001004615) ----------

12/03/2024 წელი

გიორგი ხეჩუაშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N240295893
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	12.03.2024 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი ია ყიფიანი	
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი # 68
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	570506164
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	29977400329624

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ოცდაოთხი წლის თორმეტ მარტს მე, ნოტარიუს - ია ყიფიანს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს: ქ.თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირი # 68-ში, მომმართა:

ბატონმა **გიორგი ხეჩუაშვილმა** (დაბ. 09.05.1973 წელს, პირადი # 24001004615, მართვის მოწმობა TH2471893 გაცემული 22/01/2018 წელს, საქართველო, კასპი ს. გრაკალი).

წარმოადგინა მის მიერ შედგენილი და ტექნიკურად გამართული თანხმობა (ერთ ეგზემპლარად, ერთ გვერდად) და მოითხოვა აღნიშნულ დოკუმენტზე მისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმდა.

ხელმომწერის პირადობა დადგენილია წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით. ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

დოკუმენტს ხელმომწერმა ხელი მოაწერა ჩემი - ნოტარიუსის თანდასწრებით.

მე, ნოტარიუსმა ია ყიფიანმა ხელმომწერს განვუმარტე, რომ ვადასტურებ აღნიშნულ დოკუმენტზე მისი ხელმოწერის სინამდვილეს და პასუხს არ ვაგებ დოკუმენტის შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.12.2011წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 6,00 ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 5.00 ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. – 1,08 ლარი. სულ: 12,08 ლარი.

ნოტარიუსი ია ყიფიანი

